

**2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები
წინასაარჩევნო გარემოს შეფასება**

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მოკლე მიმოხილვა

წინასაარჩევნო პერიოდში, რომელიც არჩევნების დღემდე 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტუნარიან გარემოში წარემართათ. წინასაარჩევნო კამპანია პლურალისტური მედიაგარემოს, ადმინისტრაციული რესურსების არამასობრივი გამოყენების და ზეწოლის ფაქტების მასშტაბის სიმცირით ხასიათდებოდა. კამპანიას ცალკეული ძალადობრივი ინციდენტების, ამომრჩევლის მოსყიდვის, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაშინებისა და აგიტაციაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა არ გვაქვს საფუძველი, განვაცხადოთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში იდენტიფიცირებულმა დარღვევებმა ამომრჩევლის ნების თავისუფალ ფორმირებაზე არსებითი გავლენა მოახდინა.

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას სერიოზული ზიანი მიაყენეს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე განხორციელებულმა ძალადობრივმა აქტებმა, მათ შორის ოპოზიციური პარტიის დეპუტატის ავტომანქანის აფეთქებამ, ოპოზიციური მაჟორიტარობის კანდიდატზე ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის აქტივისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებმა. ყველა ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ორ შემთხვევაში კონკრეტულ პირებს ბრალიც წაყენათ.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო ინტენსიური გახდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების პირადი საუბრების უკანონო ჩანაწერების გამოქვეყნების შემთხვევები, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ჩანაწერების გავრცელების მიზანს საარჩევნოდ საზოგადოებრივი აზრის მიუღებელი მეთოდებით ფორმირება წარმოადგენდა. ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია, თუმცა, მსგავსი ტიპის დანაშაულების სისტემურობისა და დაუსრულებელი გამოძიებების გამო სამართალდამცავთა საქმიანობის ეფექტიანობის მიმართ საზოგადოების ნდობა დაბალია.

წინა წლებთან შედარებით, უფრო ხშირად გვხვდებოდა პარტიების და კანდიდატების მხრიდან ამომრჩევლის დაინტერესება ფულადი და მატერიალური ღირებულებებითა და მომსახურების გაწევით, ასევე, საარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის შემთხვევები. სამწუხაროდ, სასამართლოს მიერ აღნიშნული სახის სამართალდარღვევების წინააღმდეგ არაეფექტიანი ზომები იქნა გატარებული.

საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების დღეს ორგანიზებული ხვდება. გარკვეულ გამოწვევად იქცა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესის პოლიტიკური მიუკერძოებლობის საკითხი რიგ საარჩევნო ოლქებში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, საერთო ჯამში, მიგვაჩნია, რომ არჩევნების დღეს ამომრჩეველს ექნება საშუალება საარჩევნო უბანზე ინფორმირებული და თავისუფალი არჩევანი გააკეთოს.

1. ძალადობა და ფიზიკური დაპირისპირება

ძირითადად, ძალადობისგან თავისუფალი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას სერიოზული ზიანი მიაყენა არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე განხორციელებულმა ძალადობრივმა აქტებმა, მათ შორის ოპოზიციური პარტიის დეპუტატის ავტომანქანის აფეთქებამ, ოპოზიციური მაჟორიტარობის კანდიდატზე ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის აქტივისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებმა.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების აქტივისტებს შორის დაპირისპირება ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. თავდასხმის ობიექტები იყვნენ როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე, მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა პოლიტიკურ ოპონენტებს შორის არაერთი სატელევიზიო დებატიც. [ხშირი იყო](#) პარტიების კამპანიური ხასიათის ღონისძიებებზე სხვა პარტიების მხარდამჭერთა მხრიდან დასწრების და ხელის შეშლის მცდელობები, რაც, ზოგ შემთხვევებში, ურთიერთდაპირისპირებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, ფიზიკურ დაპირისპირებას არ ქონდა მასობრივი ხასიათი.

სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიები მათი აქტივისტების მხრიდან ჩადენილ სამართალდარღვევებზე საპასუხო განცხადებებში ცდილობდნენ ძალადობის პროვოცირების მეორე მხარისთვის გადაბრალებას, ნაცვლად იმისა, რომ დაეგმოთ და გამიჯვნოდნენ ძალადობას, რაც სადამკვირვებელ ორგანიზაციების მხრიდან ძალადობის წახალისებად შეფასდა.

კამპანიის პერიოდში, თავს დაესხნენ [არაერთი](#) ოპოზიციური პარტიის ოფისს. კამპანიის ბოლო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების პლაკატებისა და საარჩევნო ბანერების განზრახ დააზიანების [არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა](#). აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიებას სამართალდარღვევის ჩამდები პირები ამ ეტაპისთვის არ გამოუვლენია.

2. პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა-მუქარა

პოლიტიკური მოტივით პარტიების აქტივისტებზე ზეწოლისა თუ მუქარის შემთხვევები ძირითადად არჩევნებამდე [2 თვით ადრე დაიწყო](#). პარტიების აქტივისტების განცხადებებით, ზეწოლები ძირითადად ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების მხრიდან მოდიოდა და სოციალური დახმარებების მოხსნისა თუ სამსახურის დაკარგვის მუქარაში [გამოიხატებოდა](#). აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე შემთხვევაში [ადგილი ჰქონდა](#) სამართალდამცავთა მიერ

პოლიტიკურად აქტიური პირების ჩხრეკას, დაკითხვას თუ ბრალის წაყენებას, რამაც სამართალდამცავთა ქმედებების პოლიტიკური მიუკერძოებლობის მიმართ კითხვის ნიშნები გააჩინა.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების ცალკეულ შემთხვევებს ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებიდან. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში გათავისუფლებული მოხელე მუნიციპალიტეტებში სამსახურში მალევე აღადგინეს, ხოლო ორი საქმის განხილვა სასამართლოში ამჟამად მიმდინარეობს.

არჩევნების პროცესზე ნეგატიური გავლენა ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერების შესახებ ინტერნეტით გავრცელებულ ფარულ ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რომლებიც ეტაპობრივად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ვებგვერდის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს საგამოძიებო ორგანოებმა ვერცერთ შემთხვევაში ვერ დაასრულეს გამოძიება წარმატებულად და ვერ მისცეს პასუხისგებაში ამ ჩანაწერების ავტორი ან/და გამავრცელებელი.

3. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას არ მიუღწევია ისეთი მასშტაბებისთვის, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოზე. მიუხედავად ამისა, მაინც დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რამდენიმე [მნიშვნელოვანი ფაქტი](#).

აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდოდ საარჩევნო მიზნით გამოყენების საყურადღებო შემთხვევები საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას და მიმდინარე წლის გაზაფხულზე ზოგიერთი ბაგა-ბაღის თანამშრომლების საეჭვო გარემოებებში გათავისუფლებაში გამოიკვეთა. გარდა ამისა, წინასაარჩევნოდ ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან ხშირად კეთდებოდა განცხადებები მათ მხარდამჭერებსა და საარჩევნო კანდიდატებზე სამართალდამცავი უწყებების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შესახებ მათ შორის სუს-ის თანამშრომლების მიერ საარჩევნო შეხვედრებზე დასწრების შესახებ. მიუხედავად ამისა, რთული აღმოჩნდა ასეთი ფაქტების უმეტესობის გადამოწმება/დადასტურება. სამართალდამცავი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასეთ ფაქტებზე გამოძიებას არცერთი პირი არ მიუცია პასუხისგებაში.

სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების განცდა შექმნა ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ. ამ კუთხით აღსანიშნავია პარლამენტის მიერ მიღებული უფასო სარეკლამო დროის განაწილების ახალი წესი და ცესკო-ს ორი დადგენილება (პარტიებისთვის ნომრების მინიჭების შესახებ და პარტიების სუბიექტებად რეგისტრაციის შესახებ).

ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების კუთხით პოზიტიური თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მმართველი პარტია არასამუშაო დღეებში ცდილობდა გაემართა საჯარო შეხვედრები. კამპანიური ხასიათის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად საჯარო მოხელეები ძირითადად, კუთვნილი შვებულებით სარგებლობდნენ, თუმცა,

ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ადამიანური, ისე მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებას კამპანიის მიზნებისათვის, საარჩევნო კოდექსის დარღვევით. აღსანიშნავია „ქართულ ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების მასშტაბური მობილიზება, რაც, ფაქტობრივად, [ყველა რეგიონში მოხდა](#). ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები უკანონო აგიტაციას [სოციალური ქსელების](#) მეშვეობით ეწეოდნენ, რაც არაერთი მოწოდების მიუხედავად, შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა არ აღმოფხვრეს. წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული საქმიანობის რეკლამირება ვიდეორგოლებით, მოკლე ტექსტური შეტყობინებებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით.

ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებისა და საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯვის განცდა შექმნა ცენტრალური ხელისუფლების ორმა ინიციატივამ: ა) პენსიების მატებამ პირველი ივლისიდან და ბ) მაღალმთიანი დასახლებებისთვის პირველ სექტემბერს ამოქმედებულმა შეღავათებმა, რაც ამომრჩევლის გულის მოსაგებად გამიზნულ პროექტებს წარმოადგენს.

წინასაარჩევნო პერიოდში არ დაფიქსირებულა ცენტრალური ბიუჯეტის ცვლილება, რომლითაც ცალსახად დაირღვეოდა „საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნები. საარჩევნო პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ზრდის შემთხვევა რამდენიმე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ადმინისტრაციული [რესურსის გამოყენებად შეაფასა](#) და [შესაბამისი საჩივარი შეიტანა](#). ასევე, აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდგომ არაერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაიზარდა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების მოცულობა, რაც აღნიშნული ცვლილებების განხორციელების კანონით აკრძალული ვადის დადგომამდე დასრულდა, თუმცა ამ ცვლილებებმა საარჩევნო მიზნით ამომრჩევლის კმაყოფილების გაზრდის [მცდელობის ეჭვები წარმოშვა](#).

4. ამომრჩევლის მოსყიდვა

წინა წლებთან შედარებით, უფრო ხშირად გვხვდებოდა წინასაარჩევნოდ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და კანდიდატების მხრიდან ამომრჩევლებისათვის მატერიალური ფასულობების გადაცემა, გადაცემის დაპირება ან მომსახურების გაწევა. ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებს აუდიტის სამსახური დროულად სწავლობდა და სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირებისათვის სასამართლოს მიმართავდა. სამწუხაროდ, სასამართლოს მიერ აღნიშნული სახის სამართალდარღვევის წინააღმდეგ არაეფექტური ზომები იქნა გატარებული, რაც მეტწილად განპირობებული იყო არსებული საარჩევნო რეგულაციების გაუმართაობითა და სასამართლოს არასათანადო პრაქტიკით. სასამართლოს მიერ აღნიშნული სამართალდარღვევის ფაქტების არასათანადო შეფასება ამომრჩევლის მოსყიდვის საგანგაშო ფაქტებს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ყურადღების მიღმა ტოვებს.

5. მედიაგარემო

წინასაარჩევნო პერიოდში მედიაგარემო, მიუხედავად გამოწვევებისა, პლურალისტული იყო. პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საშუალება მოსახლეობისთვის გაეცნოთ საკუთარი ხედვები და პროგრამები, რაც იმას ნიშნავს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობას ექნება საკმარისი ინფორმაცია ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.

თუმცა, განსაკუთრებით საყურადღებოა სატელევიზიო სივრცეში მომხდარი ცვლილებები. მართალია, წინასაარჩევნო პერიოდში არ დაფიქსირებულა ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივად დაიხურა [5 მაღალრეიტინგული გადაცემა](#). ამის მიზეზი, გადაცემის წამყვანების ინფორმაციით, მთავრობას და მედიამფლობელებს შორის გარკვეული გარიგება იყო. ზოგ შემთხვევაში მიზეზად ტელეკომპანიის მფლობელების პოლიტიკა დასახელდა.

წინასაარჩევნო პერიოდში ახალი გადაცემებისა და სახეშეცვლილი პროგრამების მეშვეობით პოლიტიკურ პარტიებს ტელეეთერით პარტიული პროგრამების წარდგენის საშუალება მიეცათ. პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ ამომრჩეველთან ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობა თითქმის ყველა სატელევიზიო არხის მეშვეობით. ტელეკომპანიები ცდილობდნენ პარტიებისთვის თანაბარი შესაძლებლობები შეექმნათ როგორც სატელევიზიო ეთერში, ისე რეკლამის განთავსების კუთხით.

წინასაარჩევნო მედიაგარემოს შეფასებისთვის საკვანძო საკითხად იქცა ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” მფლობელობის დავა, რომელიც ამჟამად უზენაეს სასამართლოში განიხილება. წინასაარჩევნო პერიოდში უზენაესმა სასამართლომ “რუსთავი 2-ის” საქმე დასაშვებად ცნო. საქმის განხილვამ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, ასევე არხისა და მისი მენეჯმენტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა არაერთი კითხვა გააჩინა პროცესის პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირებით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არხის ტექნიკურად შეფერხება არ მომხდარა, [სასამართლოს დავასთან დაკავშირებული გაურკვევლობა და პროცესის უკიდურესი პოლიტიზაცია](#), უარყოფით გავლენას ახდენდა არხის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე.

ტელეკომპანია GDS, რომლის მფლობელიც ყოფილი პრემიერმინისტრის და მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ოჯახის წევრია, 2016 წლის სექტემბრიდან, კვირაში ორჯერ, ორსაათიან უფასო ეთერს უთმობდა ყოფილ პრემიერმინისტრს - ბიძინა ივანიშვილს, მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციისთვის. მსგავსი რამ არხს სხვა პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლოდ არ განუხორციელებია. აღნიშნული ქმედება საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ [დარღვევას](#) წარმოადგენდა. ამავე არხსა და “იმედზე” ასევე მიმდინარეობდა სატელევიზიო სერიალის ტრანსლირება, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ეხებოდა. აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენდა კანონდარღვევას, თუმცა იყო ყოფილი პრემიერმინისტრის მიერ დაფინანსებული და აღიქმებოდა პარტია “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად.

წინასაარჩევნო პერიოდში მედიაგარემოს პოლარიზება განსაკუთრებით თვალნათელი გახდა სხვადასხვა არხის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე დაყრდნობით პოლიტიკური პარტიების რეიტინგების გამოქვეყნებით. ერთი მხრივ, კვლევებს ატარებდა ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” მიერ

დაქირავებული კვლევითი კომპანია “GFK”, ხოლო მეორე მხრივ, ტელეკომპანია “იმედის”, “მაესტროს”, “GDS”-ისა და [საზოგადოებრივი მაუწყებლის](#) დაკვეთით კვლევებს ატარებდა კომპანია “TNS”. ამ განსხვავებულ კვლევებზე დაყრდნობით ტელეარხებმა მაყურებელს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური რეიტინგების მონაცემები შესთავაზეს.

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ანტიდასავლურად განწყობილი მედიასაშუალებები. როგორც წესი, ეს მედიაორგანიზაციები ხშირად სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლების მიმართ ქსენოფობიური, ჰომოფობიური განცხადებებითა და სიძულვილის ენის გამოყენებით გამოირჩეოდნენ.

6. პარტიების დაფინანსება

წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც პარტიების დაფინანსების მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, აქტიურობითა და მიუკერძოებლობით გამოირჩეოდა. აუდიტის სამსახური რეაგირებდა როგორ მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის მხრიდან განხორციელებულ დარღვევებზე.

2016 წლის I იანვრიდან I სექტემბრამდე პოლიტიკურმა პარტიებმა/საარჩევნო სუბიექტებმა მთლიანობაში 16,150,855 ლარის შემოწირულება (მათ შორის, საწევროები და არაფულადი შემოწირულება) მიიღეს. 14,829,755 ლარი 1,109 ფიზიკურმა პირმა გაიღო, ხოლო 1,321,100 ლარი - 24-მა იურიდიულმა პირმა. 24 იურიდიული პირიდან 15 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, დანარჩენი კი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „ეროვნული ფორუმის“ და „გირჩის“. „ქართული ოცნების“ შემომწირველი 34 ადამიანთან დაკავშირებულმა 35-მა კომპანიამ 4,005,857 ლარის ღირებულების კონტრაქტები მიიღო. “ქართული ოცნების” შემომწირველებიდან 38 თანამდებობის პირი ან/და მათი ოჯახის წევრი იყო. ზოგიერთი საჯარო მოხელის შემოწირულობა მათი დეკლარირებული შემოსავლის დიდ წილს წარმოადგენდა.

გამოიკეთა საკანონმდებლო ხარვეზი განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის დეფინიციისა და ამ სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რასაც კონკრეტული არასასურველი შედეგი მოყვა, კერძოდ, პაატა ბურჭულაძემ პარტიის შექმნამდე გაცილებით ადრე დაიწყო პოლიტიკური საქმიანობა, თუმცა რადგანაც მას მასამდე საჯაროდ არ დაუფიქსირებია საარჩევნო მიზნები, მისი ფონდის მიერ მანამდე განხორციელებული აქტივობები და ფინანსური დანახარჯები ვერ მოექცა პოლიტიკური პარტიებისთვის განკუთვნილი რეგულაციების ქვეშ, რამაც ის სხვა პარტიებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა.

7. საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციები მეტწილად გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით მოქმედებდნენ. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს არ შექმნიათ პრობლემები რეგისტრაციის ან დაკვირვების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის არცერთ დონეზე. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული მოსამზადებელი ღონისძიებები უზრუნველყოფს არჩევნების დღის ორგანიზებულად ჩატარებას.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ყველაზე პრობლემატურ საკითხებად გამოიკვეთა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესი, რა დროსაც არაერთ საარჩევნო ოლქში [დაფიქსირდა](#) საუბნო კომისიების წევრთა დაკომპლექტება წინასწარ განსაზღვრული სიების მიხედვით, რამაც საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრების პოლიტიკური მიუკერძოებლობის მიმართ მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა. საუბნო კომისიების დაკომპლექტების პროცესის ხარვეზებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის რეფორმის აუცილებლობა.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან [კრიტიკული შეფასება დაიმსახურა](#) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვის პროცესმა. აღსანიშნავია, რომ ცესკოში შესული საჩივრების აბსოლუტური უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი დარჩა. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო დავების განხილვის დროს საარჩევნო ადმინისტრაცია ვიწროდ განმარტავდა კანონს, რაც საარჩევნო დარღვევების მიმართ არსებული შესაბამისი სანქციების არაეფექტურობას იწვევდა. აღნიშნულმა გააჩინა განცდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია თავს არიდებდა, პასუხისმგებლობა აელო საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით, პოლიტიკური პარტიების მიმართ შესაბამისი სანქციების გატარებაზე.

ხარვეზები გამოიკვეთა, ასევე, ცესკო-ს მიერ გარკვეული საარჩევნო სუბიექტების [რეგისტრაციის პროცესში](#). ასევე, პრობლემატური იყო ცესკო-ს მიერ ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის საარჩევნო ნომრის ვადაზე ადრე მინიჭების საკითხიც, რამაც სხვა ანალოგიური საარჩევნო სუბიექტები [არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა](#).

8. საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემის კუთხით დადებითად შეიძლება შეფასდეს 2015 წლის ბოლოს მიღებული ცვლილებები მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების გათანაბრებისა და მაჟორიტარი კანდიდატებისთვის დაწესებული ბარიერის ზრდის შესახებ. თუმცა, მიუხედავად არაერთი ინიციატივისა, მათ შორის საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების ორი პროექტისა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის [მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვერ მოხერხდა](#). ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით საპარლამენტო ინიციატივები. პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილმა პროპორციულმა და მაჟორიტარობის კანდიდატთა სიებმა კიდევ ერთხელ ნათლად [აჩვენა](#), რომ ქალების წარმომადგენლობა როგორც პარტიულ სიებში, ისე მაჟორიტარ კანდიდატებად კვლავ დაბალი რჩება.